ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №08.11.08/10/103

ქ. თბილისი 21 დეკემბერი 2016 წ.

ერთის მხრივ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სამგორის რაიონის გამგეობა (შემდგომში „შემსყიდველი") წარმოდგენილი გამგებლის გიორგი ბაგრატიონის სახით და მეორეს მხრივ ააიპ „მხიარულთა და საზრიანთა კლუბი" (შემდგომში „მიმწოდებელი") წარმოდგენილი ხელმძღვანელის სოფო ბანძავას სახით, სახელმწიფო შესყიდვების კანონის მე-3 მუხლის 1^1 ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვით სახელმწიფო შესყიდვის განსახორციელებლად დებენ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით;
1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;
1.3 „შემსყიდველი" -ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
1.4 „მიმწოდებელი" - პირი, რომელიც ასრულებს სამუშაოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;
1.5 „დღე", „კვირა", „თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

2. ხელშეკრულების ობიექტი და შესყიდვის საშუალება

2.1 ხელშეკრულების საგანია – „2016 წლის ჩემპიონატი მხიარულთა და საზრიანთა გუნდებს შორის" დასასწრები ბილეთები. (რაოდენობა 100 (ასი) ცალი; ერთი ბილეთის ღირებულება 10 (ათი) ლარი)

2.2. შესყიდვის საშუალება - გამარტივებული შესყიდვის საშუალებით (CPV კოდი 22459000).

3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 1000 (ერთიათასი) ლარი და 00 თეთრი;
3.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს;

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ერთობლივად, უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში;.
4.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მიწოდების შემდეგ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტისა;
4.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან არაუგვიანეს 10 დღის განმავლობაში

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება- ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.
5.2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე პასუხისმგებელ პირებს წარმოადგენენ: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სამგორის რაიონის გამგეობის თანამშრომელ(ებ)ი.

6. საქონლის მიწოდების ადგილი და საგარანტიო ვადები

6.1. საქონლის მიწოდება განხორციელდება შემდეგ მისამართზე - ქ. თბილისი, მოსკოვის გამზირი №14.

6.2 საქონლის მიწოდება განხორციელდება არაუგვიანეს 2016 წლის 24 დეკემბრის ჩათვლით.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობები

7.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის მონიტორინგი;

7.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;

7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს მომსახურება სათანადო ხარისხით.

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე სახელშეკრულებო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით;

8.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 3%-ს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება;

8.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე;

9.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

9.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;

9.4. მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 9.3. პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილება მიღების განზრახვის შესახებ;

9.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. დაუძლეველი ძალა

10.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება შეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერიდან და მოქმედებს 2017 წლის 25 იანვრის ჩათვლით.

13. სხვა პირობები

13.1. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

13.2. მიმწოდებელს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე.

13.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

13.4.ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ორი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:

სამგორის რაიონის გამგეობა
მის. ქ. თბილისი,
მოსკოვის გამზირი №14
ხაზინის ერთიანი ანგარიში

კოდი TRESGE22
საიდენტ. კოდი 206 351 598

მიმწოდებელი:

ააიპ „მხიარულთა და საზრიანთა კლუბი"
მის. თბილისი,
ჭონქაძის №29
სს „თიბისი ბანკი"
ა/ა GE73TB7908736080100002
კოდი TBCBGE22
საიდენტ. კოდი 404 418 028
ტელ: 591 19 35 35

გამგებელი:

---------- გ. ბაგრატიონი

ხელმძღვანელი:

---------- ს. ბანძავა